სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

კატალოგზე პასუხისმგებელი პირი:
ნუნუ ჭაღიაშვილი საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: 591 41 12 85
ელექტრონული ფოსტა: nunuchago@gmail.com

პრეამბულა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გზა და მიღწევები იქმნებოდა მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბებიდან 35 წლის განმავლობაში. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, თანამშრომლები და საუნივერსიტეტო საზოგადოება ამაყობს იმ მიღწევებითა და შედეგებით, რომელიც სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ჩამოყალიბებამ განაპირობა. დღეს სამხრეთ საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობით შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ერთიანი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონული უნივერსიტეტია. მაღალია საზოგადოების მოლოდინი უნივერსიტეტის მიმართ. მას ენდობა მხარის მულტიეთნიკური მოსახლეობა. მისი დანიშნულებაა საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა. 2026-32 წლების სტატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია საზოგადოების მოლოდინის და უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში ჩართული მხარეების ძალისხმევის საფუძველზე. სტარტეგიული გეგმის შინაარსში ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პერსპექტივები საგანმანათლებლო კუთხით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განვითარების სტრატეგია, სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება განპირობებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაინტერესებული პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების მიზნით, ასევე: ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფად; დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობისთვის. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული

განათლების კუთხით და რეგიონისთვის საჭირო კადრის მომზადება. უნივერსიტეტი, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ მოდულურ პროგრამებს ორ ქალაქში: ახალციხესა და ახალქალაქში. ორ ლოკაციაზე განხორციელებით მან გაზარდა იმ ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩართვის შესაძლებლობა, რომლებსაც არ შეუძლიათ ახალციხეში ჩამოსვლა. ახალქალაქში მათ უნივერსიტეტი სთავაზობს რეაბილიტირებულ საერთო საცხოვრებელს საუკეთესო პირობებით. პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებით სწავლას შეძლებენ როგორც ქართველი, ისე არაქართველი ახალგაზრდები. განათლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში არაქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას სახელმწიფო დაფინანსებით. პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან / პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. აუდიტორიები უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი საჭირო აღჭურვილობით. სასწავლო ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ.

პროგრამებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია კომპანიებთან კერძოდ: სს „ევექსის ჰოსპიტლები“ , შპს,,აღმოსავლეთ საქ.ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, სს გეფა, ინდმეწარმე აფთიაქი ,,ფარმა“ , რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების, განხორციელების, სწავლების მიმდინარეობის პროცესში. მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესთან

საკონტაქტოინფორმაცია:

მისამართი/ები: , ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ119, ახალციხე, რუსთაველის ქ. 122ა

ტელეფონი: 0(365) 22 19 90

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: მაია გელაშვილი

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting
2. სარეგისტრაციო ნომერი - 04.5.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური ბუღალტრის მომზადება, რომელიც შეძლებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
5. კვალიფიკაციის დონე
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეხუთე დონე
6. კლასიფიკაციის აღწერა
6.1. ISCED კოდი და აღწერა : 0411- საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა - *შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.*
6.2. ISCO კოდი : 2411 - ბუღალტრები
6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69.20.0 სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება

7. დასაქმების შესაძლებლობები
ბუღალტერს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო უწყებებში, კერძო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში შემდეგ პოზიციებზე: მთავარი ბუღალტერი, ბუღალტერი, ბუღალტრის თანაშემწე/ასისტენტი. ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება კერძო პროფესიული პრაქტიკის გზით.

8. დაშვების წინაპირობა
8.1 სრული ზოგადი განათლება
9. სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:
9.1. შეიმუშაოს ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა;
9.2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სააღრიცხვო დოკუმენტებს;
9.3. განახორციელოს ბუღალტრული ოპერაციები;
9.4. შეავსოს და წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები;

9.5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
9.6. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით;
9.7. განახორციელოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრულ აღრიცხვაზე;
9.8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
9.9. განახორციელოს ეკონომიკური ანალიზი.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 88 კრედიტის მოცულობით და 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით.

„მოდულების, ქართულიენა A2,ქართულიენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს ეროვნული უმცირესობების ენაზე(რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე) ტესტირების გზით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის№42/ნ ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ 30 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა :
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 127 კრედიტი;
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 97 კრედიტი;

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული

განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

12.2 კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები

საკონტაქტოინფორმაცია:
მისამართი: ახალქალაქი, აღმასენებლის ქ 119
ტელეფონი: 0(365) 22 19 90
ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge
ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge
პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი ხაჩიძე

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** კომპიუტერული ქსელი და სისტემები; Computer Network and Systems;
2. სარეგისტრაციო ნომერი - 06.2.1
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
4. **პროგრამის მიზანი -** კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
5. **კვალიფიკაციის დონე**
   5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე
6. **კლასიფიკაციის აღწერა**
   6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - *შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, შენაჩუნებასა და ინტეგრაციას. მოიცავს მედიააპლიკაციებსაც;*
   6.2 ISCO კოდი: 3513 კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები;
   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები
7. **დასაქმების შესაძლებლობები -** კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მქონე ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით მოსარგებლე ნებისმიერ მცირე და საშუალო ზომის

ორგანიზაციაში, ასევე სატელეკომუნიკაციო პროფილის მქონე ორგანიზაციებში, ფილიალების/ობიექტების მქონე ქსელურ ორგანიზაციებში, მონაცემთა მართვის სააგენტოებში და სხვა ნებისმიერ, დიდი ზომის ორგანიზაციაში ქსელისა და სისტემების უმცროს (Junior) ადმინისტრატორად.

8. **დაშვების წინაპირობა**

8.1 სრული ზოგადი განათლება;

8.2 საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

9. **სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

9.1 უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;

9.2 იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;

9.3 დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;

9.4 დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;

9.5 გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;

9.6 უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;

9.7 გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;

9.8 გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;

9.9 გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;

9.10 გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;

9.11 გამოიყენოს Cloud პლატფორმები;

9.12 უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

10.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 80 კრედიტის მოცულობით და 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით.

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 87 კრედიტის დაგროვება.

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად 117 კრედიტი, რომელთაგან 15 პროფესიული მოდული ჯამური 80 კრედიტის მოცულობით და 2 ზოგადი მოდული ჯამური 7 კრედიტის მოცულობით. 30 კრედიტი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები.

მოდულები „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1”

მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება:

- პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 147 კრედიტი;
- პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 117 კრედიტი;

11 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

12.კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: -ახალციხე, რუსთაველის 122
ტელეფონი: 0(365) 22 19 90
ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge
ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.ge
პროგრამის ხელმძღვანელი: კობა კაკაჩიშვილი

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება საფუძველზე შექმნილია პროგრამა -** საექთნო განათლება / Nursing
2. **დამტკიცების/ცვლილების თარიღი:** 21.05.2018 / 31.01.2019 / 07.02.2019 / 22.02.2019 / 16.04.2019 / 19.02.2020 / 11.02.2021/15.09.2021
3. **სარეგისტრაციო ნომერი** 09109-პ
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - “შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”

5. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

6. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება
7. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

8. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს, პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**მოცულობა: **180 კრედიტი ,** ხანგრძლივობა: 125 კვირა
- **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**მოცულობა: **210 კრედიტი,** ხანგრძლივობა: 145 კვირა

9. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული **180 კრედიტი** და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები[1]

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებსა და პაციენტებსა ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება- სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში უნდა მიმდინარეობდეს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების[2] ზედამხედველობის ქვეშ.

პროფესიული საქმიანობის კომპეტენცია:

1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. შინმოვლის მომსახურება

14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საბაჟო საქმე

საკონტაქტოინფორმაცია:
მისამართი: ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
ტელეფონი: **0 365 22 19 90**
ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge
ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge
პროგრამის ხელმძღვანელი: ვასილ ბერიძე

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა -** საბაჟო საქმე / Customs Study

2. **დამტკიცების/ცვლილების თარიღი -** 13.10.2017; 29.12.2017; 05.06.2018; 31.01.2019; 29.10.2021
3. **სარეგისტრაციო ნომერი** - 04116-პ
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study

   აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ადამიანებისა და საკუთრების დაცვა“, კოდი 1032, აღმწერი - ,,შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლების უკავშირდება, როგორც ადამიანებს ასევე მათი საკუთრების დაცვას. მოიცავს საპოლიციო მომზადებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახანძრო დაცვას და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლას.“

5. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა რომელიც საბაჟო სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრს. კერძოდ, პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

6. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება

7. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 52.29, 84.11.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3351

8. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა აერთიანებს ერთ უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საბაჟო საქმეში. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **93 კრედიტი.**

პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 82 კრედიტის მოცულობით.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 93 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 67კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 123 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის -89 კვირა

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
2. გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
3. გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები;
4. განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
5. განსაზღვროს საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს;
6. განახორციელოს საბაჟო დეკლარირება;

7. განახორციელოს საბაჟო გაფორმება;
8. განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
9. განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები;
10. განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

11.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცია (სააფთიაქო)

საკონტაქტოინფორმაცია:

მისამართი: -ახალციხე, რუსთაველის 122

ტელეფონი: 0(365) 22 19 90

ვებ-გვერდი: sjuni.edu.ge

ელ-ფოსტა:contact@sjuni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ბათმანაშვილი

თანახელმძღვანელი: კობა კაკჩიშვილი

I. **სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

II. **დამტკიცების/ცვლილების თარიღი**: 22.02.2019; 16.04.2019; 19.02.2020; 19.04.2021; 25.06.2021; 29.10.2021; 13.12.2021

III. **სარეგისტრაციო ნომერი:** 09110-3

IV. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე-** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრიებას."

V. **პროგრამის მიზანი:**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

VII. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 46.46, 46.46.0, 47.73, 47.73.0, 82.92.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 321

VIII. **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ასევე ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. სულ **123** კრედიტი.

მოდულების ქართული ენა A2 და ქართულიენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის,რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 153 კრედიტს. მათ შორის 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2" მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა B1" მოდულის სწავლებისათვის.

IX. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- მოცულობა: **123 კრედიტი**

- ხანგრძლივობა: 81 კვირა

2. არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- მოცულობა: **153 კრედიტი**
- ხანგრძლივობა: 101 კვირა

X. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1.შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად

2.დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა

3.შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა

4.განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე

5.ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი

6.განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება

7.მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები

8.გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები

9.განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ

10.განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია

11.განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ

12.დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

XII.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირმს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

XIII.კვალიფიკაციის მინიჭება:

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.